



საჩუქრეთა წიგნი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით
განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელობას

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური
ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის ნაერთი (კონსოლიდირებული)
ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს
ბატონ თორნიკე რიჟვაძეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ პარმენ ჯალაღონიას

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ ჯაბა ფუტყარაძეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს
ქალბატონ მაია ხაჯიშვილს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ნინო ნიჟარაძეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ზაზა შავაძეს

მოგესხენებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში და წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS (www.aris.sao.ge).

პატივისცემით,

ზაზა შეყილაძე

გენერალური აუდიტორის მოადგილე

ტერმინები და შემოკლებები.....	2
1.რეკომენდაციები.....	3
2.ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები.....	8
3.აუდიტის მიმდინარეობისას გათვალისწინებული საკითხები	9
4.კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები	9
5.წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.....	10
საკონტაქტო ინფორმაცია.....	11

ტერმინები და შემოკლებები

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქცია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება.

მთავრობა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IPSAS).

საბიუჯეტო ორგანიზაცია – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაცია.

სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

1. რეკომენდაციები

1.1 გრძელვადიანი აქტივები

აუდიტის მიგნება

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის ასახული საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა, მათი სარგებლობაში პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა და არ არის შეფასებული. კანონმდებლობის შესაბამისად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით ფლობს, მართავს და განკარგავს ქონებას და ახორციელებს ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებებს. შესაბამისად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე უნდა აღირიცხოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა ქონება, რომლის სარგებლობაში პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა. სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში არ ირიცხება და არ არის შეფასებული არანაკლებ 1,484 ერთეული მიწის ნაკვეთი და სხვა უძრავი ქონება, რომელიც სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივების არასრულფასოვანი აღრიცხვა გავლენას ახდენს ცვეთის ხარჯების არასწორად ასახვასა და „წმინდა აქტივების კაპიტალის“ სისწორეზე.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ვერ მივიღეთ რწმუნება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი აქტივების“ ანგარიშის საბოლოო ნაშთის სისწორესა და შეფასებაზე. შედეგად, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილნი იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის ზუსტი მონაცემებით, რომლებიც დაკავშირებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების გრძელვადიან აქტივებთან, რაც აქტივების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

მიზეზი

აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები.

გავლენა

ანგარიშგების „გრძელვადიანი აქტივები“ მუხლში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ფინანსურ ანგარიშგებაში გრძელვადიანი აქტივები აღრიცხონ შესაბამისი ღირებულებით.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

1.1.2 არამატერიალური აქტივები

აუდიტის მიგნება

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური ანგარიშგებით „არამატერიალური აქტივების“ ნაწილში, პერიოდის საწყის ნაშთად ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტების სახით ერიცხებოდა 669,785 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივები. სამინისტროს მიერ

აღნიშნული აქტივები საბოლოოდ მიღებულია 2023 წლის 5 ოქტომბერს, ხოლო 2023 წლის 28 დეკემბერს საინვენტარიზაციო კომისიის გადაწყვეტილებით ჩამოწერილია ბალანსიდან იმ მოტივით, რომ აქტივები არ იმყოფება მხოლოდ სამინისტროს კონტროლქვეშ, არის საჯარო, ყველასათვის ხელმისაწვდომი და არ შეუძლია ეკონომიკური სარგებლის მიღება. ამასთანავე, სსბას შესაბამისად ვერ აკმაყოფილებს არამატერიალურ აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

მოქმედი რეგულაციებით, „არამატერიალური აქტივები“ მოიცავს კვლევას და განვითარებას; მინერალური წიაღისეულის ძიებას და შეფასებებს; კომპიუტერულ პროგრამებს და მონაცემთა ბაზებს; გასართობ, ლიტერატურულ და მხატვრულ ორიგინალ ნიმუშებს და ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტებს. სსბას 31-ით, არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარების შემდგომ აისახება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რაც გულისხმობს ყოველი წლის ბოლოს არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებით ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში.

აუდიტორული პროცედურებით ირკვევა, რომ აქტივების შესყიდვის მიზანია დაგეგმვის ყველა ასპექტის გათვალისწინებით, საბაზისო მონაცემებისა და დარგობრივი კვლევების განხორციელება, მათ საფუძველზე სამართლიანი განაშენიანების მართვის რეგლამენტის დადგენა, რათა მიღებულ იქნეს საბოლოო შედეგი: ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტ ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით), ასევე გოდერძის უღელტეხილის არეალის გენერალური გეგმისა და ამ არეალში მოქცეული სამი ერთეული ტერიტორიის – კურორტ ბეშუმის, შქერნალის უბნისა და გოდერძის უღელტეხილის განაშენიანების დეტალური გეგმებისა და კურორტ ბეშუმის სანიტარიული დაცვის ზონის დოკუმენტაციის შემუშავება, ხოლო პროცესის მართვის პასუხისმგებლობაზე წამყვანი როლი ენიჭება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიას.

წარმოდგენილი დოკუმენტებით, ბალანსიდან ჩამოწერილი აქტივები ფაქტობრივად მოქმედია და აღნიშნული აქტივების შემდგომში გამოყენების მიზნით, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე მიმდინარეობს გენერალური გეგმების დაზუსტება, განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებების ღონისძიებები.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „არამატერიალური აქტივების“ ნაშთი, დასაბუთების გარეშე 669,785 ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი, არამატერიალური აქტივების არასწორი აღრიცხვა ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების არასწორ ასახვას იწვევს, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს (ფინანსური შედეგების ანგარიშგება) მუხლის – „წმინდა აქტივი/კაპიტალი“ სისწორეზე და აქტივების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს. ამასთანავე, საინვენტარიზაციო კომისიის შეფასება, რომ ჩამოიწეროს აქტივები, რადგან არ შეუძლია ეკონომიკური სარგებლის მიღება, წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად ხარჯვის რისკებს.

მიზეზი	აქტივების მართვაში არსებული ხარვეზები.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „არამატერიალური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხოს 669,785 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივები, ამასთანავე, მათი შემდგომში გამოყენების მიზნით, იმსჯელოს საბოლოო მომხმარებელზე გადაცემასთან დაკავშირებით.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

2.1 მოკლევადიანი (მიმდინარე)

დებიტორული დავალიანება

აუდიტის მიგნება	ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური ანგარიშგებით „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები დარიცხული პროცენტებით და ჯარიმებით“ ნაწილში, პერიოდის გადანაგარიშებით რიცხული საწყისი ნაშთი შეადგენს 320,949,950 ლარს. აუდიტის პერიოდში დებიტორული დავალიანების ნაშთი, გაუფასურების ტესტით, შემცირებულია 10,350,816 ლარით და ბუღალტრულად აღრიცხულია საექვო მოთხოვნების ანარიცხების მუხლში, საიდანაც რიგ შემთხვევებში გაუფასურების ინდიკატორები სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრული პირობების შეუსაბამოდ არის შეფასებული, შესაბამისად, ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების დარიცხული პროცენტებით და ჯარიმებით“ ნაშთის სისწორეზე, შეფასებასა და მიკუთვნებაზე. შედეგად, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილნი იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის ზუსტი მონაცემებით, რომლებიც დაკავშირებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებთან.
-----------------	--

მიზეზი	მოკლევადიანი აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებები.
გავლენა	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების ნაშთის უზუსტობა.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სამინისტროს ხელმძღვანელობამ, გაუფასურების მოტივით მოთხოვნების ნაშთის ცვლილება შესაბამისობაში მოიყვანოს სამინისტროს სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრული პირობებთან.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

3.1 სააღრიცხვო პოლიტიკა

აუდიტის მიგნება

სსბას 3 – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომების“ თანახმად, სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოადგენს ერთეულის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს გამოყენებული გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობას. სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

საბიუჯეტო ორგანიზაციებს არ აქვთ შემუშავებული და დანერგილი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული ერთგვაროვანი მიდგომის სააღრიცხვო პოლიტიკა. შედეგად, 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ვერ განხორციელდა მხარჯავ დაწესებულებებს შორის გადაცემული აქტივების ელიმინირება, კერძოდ:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპ – მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სასპორტო სკოლას სასაქონლო კაპიტალური გრანტის სახით გადასცა ქალაქ ბათუმში, ლეონიძის ქუჩა N15-ში მდებარე საფეხბურთო ტექნიკური ცენტრის/სტადიონის ძირითადი აქტივები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აღრიცხული აქვს აქტივები, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემად მიღებული 1-27-4200 საბუღალტრო ანგარიშზე, 10,474,940 ლარის ღირებულების, ხოლო ა(ა)იპ – მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სასპორტო სკოლამ 10,462,890 ლარი აღრიცხა სხვა ნაგებობებში 1-22-1300 და 12,050 ლარი კი სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი 1-22-2220 საბუღალტრო ანგარიშებზე. შესაბამისად, აქტივების გაცემა ასახა შენიშვნა N11-ში, ხოლო აქტივების მიღება შენიშვნა – N6-ში და მათი ელიმინირება, ანუ კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან ამოღება ვერ განხორციელდა;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპ – მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეს გადაეცა ქალაქ ბათუმში, ლეონიძის ქუჩა N15-ში მდებარე 16 610 ლარის ღირებულების საფეხბურთო ტექნიკური ცენტრის/სტადიონის სხვადასხვა მატერიალური აქტივი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ აქტივების გადაცემა ასახა სხვა დანარჩენი მასალები და მარაგები 1-14-1420 ანგარიშზე, ხოლო ა(ა)იპ – მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეს აქტივების მიღება ასახული აქვს მცირეფასიანი აქტივები 1-14-1410 ანგარიშზე. შესაბამისად, შენიშვნა N3-ში სასაქონლო ფორმით მიღებული გრანტის ელიმინირება ვერ განხორციელდა;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიაზე გადაცემულია ავტოსატრანსპორტო საშუალება – 65,400 ლარის ღირებულებით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს

ავტოსატრანსპორტო საშუალება აღრიცხული ჰქონდა აქტივები, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემად მიღებული 1-27-4200 საბუღალტრო ანგარიშზე. შესაბამისად, კაპიტალური გრანტი სასაქონლო ფორმით აისახა შენიშვნა N11-ში, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალება მიღებულ იქნა სასაქონლო კაპიტალური გრანტის სახით: სატრანსპორტო მოწყობილობა 1-22-2100 საბუღალტრო ანგარიშზე, შენიშვნა N6. სასაქონლო კაპიტალური გრანტის სახით გადაცემული მოძრავი საშუალების ელიმინირება ვერ განხორციელდა.

შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 10,556,950 ლარის ღირებულების შიდა ჯგუფური ოპერაციები არ არის ელიმინირებული. ამასთანავე, ერთგვაროვანი სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა იწვევს არათანმიმდევრულ აღრიცხვიანობას და ზრდის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობების რისკს.

მიზეზი

არაერთგვაროვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

გავლენა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 10,556,950 ლარის ღირებულების შიდა ჯგუფური ოპერაციები არ არის ელიმინირებული,

რეკომენდაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია საბიუჯეტო ორგანიზაციებმა შეიმუშაონ ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მორგებული იქნება კონკრეტული ობიექტის საქმიანობის სპეციფიკას და უზრუნველყოფს განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას.

კომპონენტები, რომლებზეც

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

გაიცა რეკომენდაცია

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

შესასრულებლად

უმაღლესი საარჩევნო კომისია.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

გრძელვადიანი აქტივები

აუდიტის მიგნება

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი აქტივების“ ნაშთი ირიცხება 16,836,163 ლარის ოდენობით. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან, უკვე დასრულებული და ექსპლუატაციაში შესული ხელოვნური ნაგებობების ტექნიკური ზედამხედველობისა და საპროექტო ღირებულების თანხები, ჯამში – 1,005,034 ლარი, არ არის ასახული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი აქტივების ღირებულებაში. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ მუხლი შემცირებულად, ხოლო „დაუმთავრებელი აქტივების“ მუხლი გაზრდილად არის წარმოდგენილი.

კომპონენტები, რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

3. აუდიტის მიმდინარეობისას გათვალისწინებული საკითხები

4. კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობის საკითხები

4.1 შემოსავლები

აუდიტის მიგნება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მიმწოდებლებზე ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის დაკისრებული აქვს პირგასამტეხლო – 1,237,468 ლარი, თუმცა 2023 წლის ფინანსური შედეგების „ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების“ ნაწილში შემოსავლებად არ არის აღიარებული ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოებისათვის მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლო – 283,743 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წლის ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების ნაწილი 283,743 ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

5.წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სამინისტროს აპარატმა სსბასს 21-ის მიხედვით, ჩაატაროს გაუფასურების ტესტი და განსაზღვროს აქტივის ბალანსზე აღრიცხვის მიზანშეწონილობა; ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონება აღრიცხოს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

ნაწილობრივ შესრულებული.

რეკომენდაცია

სამინისტრომ განიხილოს კომპანიებში არსებული წილების ერთჯერადადსამართლიანი ღირებულებით შეფასების საკითხი ან საიმედო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, კომპანიებში წილობრივი ინსტრუმენტების საბოლოო ნაშთი დააკორექტიროს წინა წლებში არსებული თანხობრივი, ქონებრივი და წილობრივი შენატანებით, ხოლო შემდგომ გაითვალისწინოს კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნები.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

ნაწილობრივ შესრულებული.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე უზრუნველყოს ორგანიზაციის ბალანსზე აღრიცხული აქტივების ინვენტარიზაციის ჩატარება, შედეგების შეფასება და ბუღალტრული აღრიცხვა.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

შესრულებული.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	ნადიმ ბოლქვაძე ჯგუფის უფროსი ელფოსტის მისამართი: nbolkvadze@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE